ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ49. 4926138001**

თარიღი:**18/05/2026**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ლოჯისტიკის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ტარიელ ჭეიშვილის მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 61–ე მუხლის მე–3 ნაწილის „გ“ პუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე და 66-ე მუხლების, 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე და 30-ე მუხლის პირველი პუნქტისა, „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის #211 დადგენილების მე-3 მუხლისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2023 წლის 20 ივნისის # ბ49.49231713 ბრძანების შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.**ტარიელ ჭეიშვილი** - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ლოჯისტიკის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ბელარუსიაში, პოლოცკის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის მიწვევით, მივლინებული იქნეს ქალაქ პოლოცკში, 6 დღით, 2026 წლის 28 მაისიდან 2 ივნისის ჩათვლით, ქალაქის 1164-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად.

2.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. არმყოფი მოხელის მოვალეობის შესრულება, დროებით დაეკისროს საკრებულოს აპარატის ლოჯისტიკის განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტს ბექა იობიძეს.

4.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს ბექა იობიძისათვის, თანამდებობრივ სარგოებს შორის არსებული სხვაობის დანამატის სახით გაცემა.

5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს.

6.ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ.№11).

კობა გურეშიძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი